



რეგისტრაციის N66/36

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიში

ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“
აუდიტის დეპარტამენტის
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

 კახაბერ კირტავა

„27“ „12“ 2017 წელი

გვ. №1

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში № 66/36

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	4
ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ	5
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	6
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	6
1.2.1 მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	6
1.2.2 მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირები	7
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	7
2.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები ...	7
2.1.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გამოუყენებელი გარანტიები	7
2.1.2 გამარტივებული შესყიდვა	8
2.1.3 არარაციონალური ხარჯვა	9
2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები	12
2.2.1 გამგეობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები	12
2.2.2 ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების მიერ გაწეული ხარჯები	12
2.3 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	14
3. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	15
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	15
5. დანართები - ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	17

ტერმინთა განმარტება

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - მუნიციპალიტეტი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა - გამგეობა;


არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ა(ა)იპ;

ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავება - ქობულეთის სანდასუფთავება.

ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს (ს/კ 247001890), რომელიც შედგება 21 ადმინისტრაციული ერთეულისაგან. მუნიციპალიტეტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია 12 არასამეწარმეო და 1 სამეწარმეო იურიდიული პირი.

სქემა N1. მუნიციპალიტეტის სტრუქტურა



ქობულეთის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო. მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 30659,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით 35369,7 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო მონაცემების შესაბამისად 2016 წელს გადასახდელების საკასო ხარჯი 35369,7 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმური მაჩვენებლის 97,4%-ია.

ცხრილი N1. მუნიციპალიტეტის 2016 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ათასი ლარი).

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	35173,9	35369,7	34467,1	97,4%
ხარჯები	14848,8	15042,2	14684,9	97,6%
შრომის ანაზღაურება	6499,5	6499,5	6426,3	98,9%
საქონელი და მომსახურება	3415,4	3415,4	3240,4	94,9%
პროცენტი	360,6	360,6	360,6	100,0%
სუბსიდიები	517,2	517,2	515,7	99,7%
გრანტები	250,0	250,0	250,0	100,0%
სოციალური უზრუნველყოფა	1272,4	1559,4	1527,3	97,9%
სხვა ხარჯები	2533,6	2440,1	2364,7	96,9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	19133,7	19136,0	18595,3	97,2%
ფინანსური აქტივების ზრდა	250,0	250,0	250,0	100,0%
ვალდებულებების კლება	941,4	941,4	937,0	99,5%

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველები

1.2.1 მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

მიმწოდებლებისათვის დაკისრებული პირგასამტებლო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლიდან მოქმედი და 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, 2016 წლის ბოლოს მიმწოდებლებისათვის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხულმა პირგასამტებლომ შეადგინა 457,5 ათასი ლარი, საიდანაც ბიუჯეტში გადახდილ იქნა 46,5 ათასი ლარი, ხოლო 44.2 ათას ლარზე მიმდინარეობს სასამართლო დავა. დარჩენილი გადასახდელი ჯარიმა - 366,8 ათასი ლარი, არ არის ასახული ბალანსში, რითაც შემცირებულია ფინანსური აქტივების ოდენობა.

მოიჯარეების მიერ გადასახდელი დავალიანებები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის შედეგად, 2016 წლის ბოლოს მოიჯარეების მიერ გადასახდელმა

დავალიანებამ შეადგინა ჯამში 7,0 ათასი ლარი, რაც არ არის ასახული 2016 წლის ბალანსში, რითაც შემცირებულია ორგანიზაციის აქტივები.

1.2.2 მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირები

წმინდა ღირებულება

ა(ა)იპ - ქობულეთის პარკის 2016 წლის ბალანსის დანართ ფორმა N3-ში, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების გათვალისწინების შედეგად, პარკის წმინდა ღირებულება არასწორად გაზრდილია 11,7 ათასი ლარით.

მოგების გადასახადი

ა(ა)იპ - ქობულეთის პარკის 2016 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში, სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების ნაშთების არასწორად განსაზღვრის შედეგად, მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულია 4,1 ათასი ლარით.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ მუნიციპალიტეტისაგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელს გამოცხადებული იქნა 207 ტენდერი, მათ შორის 179 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 28 ელექტრონული ტენდერი. გამოცხადებული ტენდერების 22,2% უშედეგოდ დამთავრდა (შეწყდა¹, არ შედგა², ან დასრულდა უარყოფითი შედეგით)³, რაც დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

2.1.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გამოუყენებელი გარანტიები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი ითვალისწინებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვ.) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია

¹ შეწყვეტილია 2 ტენდერი.

² არ შედგა 38 ტენდერი.

³ დასრულდა უარყოფითი შედეგით 6 ტენდერი.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა. წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტს 2016 წელს გაფორმებული და ასევე 2015 წლიდან მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში, მიმწოდებლებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მიუხედავად, გარანტორისაგან არ მოუთხოვია შესაბამისი თანხა, ასევე არ გაუტარებია სხვა ღონისძიებები თანხის ამოღების მიზნით. ამასთანავე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების ვადის გაგრძელება განხორციელდა შესაბამისი საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების გარეშე. მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან საკითხისადმი არასათანადო დამოკიდებულების გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტმა დაკარგა შესაძლებლობა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით, მიეღო შემოსავალი 274,4 ათასი ლარის ოდენობით.

ცხრილი N2. ინფორმაცია გამოუყენებელი საბანკო გარანტიების შესახებ (ათასი ლარი).

N	მიმწოდებელი	ხელშეკრულების თარიღი და ნომერი		დაუფარავი პირგასამტეხლო	სახელშეკრულებო უზრუნველყოფის გარანტიის თანხის ოდენობა	ხელშეკრულები ს შესრულების უზრუნველყოფის გარანტიით მისაღები შემოსავალი
1	შპს „მეოხი“	31.03.2016	67	46,4	56,2	46,4
2	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	19.08.2016	184	18,7	19,1	18,7
3	შპს „ნიუ სთიჯი“	24.07.2015	170	97,6	42,5	42,5
4	შპს „მტმ“	15.12.2015	289	18,1	19,8	18,1
5	შპს „ნიუ სთიჯი“	24.07.2015	169	48,0	25,0	25,0
6	შპს „ატომუდნაგლიადის, ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში	23.04.2015	100	10,2	64,8	64,8
7	შპს „ნიკა“	06.06.2016	122	7,0	18,6	7,0
8	შპს „ინტელექტი“	25.12.2014	203	50,5	21,7	21,7
9	შპს „ჯი ლაინი“	28.06.2016	142	52,6	19,4	19,4
10	შპს „მენდა“	01.08.2016	171	10,8	11,1	10,8
სულ				359,9		274,4

2.1.2 გამარტივებული შესყიდვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტს 2016 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მიღებული აქვს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები და გადახდილი აქვს ჯამში 1 028,6 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულყოფილია და არ იძლევა დანახარჯების კალკულაციის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი 1 028,6 ათასი ლარის, განხორციელებული სამუშაოების ფაქტობრივ ღირებულებასთან შესაბამისობა, რაც საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურ განკარგვაზე მიუთითებს.

ცხრილი N3. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები.

N	მიმწოდებელი	ხელშეკრულების N/თარიღი	სამუშაოს დასახელება	გადახდილი თანხა (ათასი ლარი)
1	შპს „ბელუ“	ხელშეკრულება N193 14.08.2015	ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	79,7
2	შპს „ბელუ“	ხელშეკრულება N278 07.12.2015	ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	122,6
3	შპს „ჯორჯიან სტოუნ“	ხელშეკრულება N64 29.03.2016	ქალაქ ქობულეთში ჯავახიშვილის უბნის კეთილმოწყობის სამუშაოები	735,1
4	შპს „ჯეო ბილდერი“	ხელშეკრულება N70 07.04.2016	ცენტრალური სტადიონის სარემონტო სამუშაოები	91,1
ჯამი				1 028,5

2.1.3 არარაციონალური ხარჯვა

აუდიტის პერიოდში გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტების სატენდერო წინადადებასთან არაერთგვაროვანი მიდგომისა და პრეტენდენტების არაობიექტური დისკვალიფიკაციის შემთხვევები, რამაც 53,0 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვა განაპირობა. კერძოდ:

➤ „სოფლის მხადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში⁴ მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომელთაგან საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის - შპს „უნივერსალის“ სატენდერო წინადადების ღირებულება 3,0 ათასი ლარით ნაკლები იყო გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულებაზე, თუმცა სატენდერო კომისიის 2016 წლის 20 სექტემბრის N176/3 საოქმო გადაწყვეტილებით, შპს „უნივერსალს“ ანალოგიურ გამოცდილებად არ ჩაეთვალა გზების მოწყობისას ხიდების მშენებლობის გამოცდილება და ის მხოლოდ ამ მოტივით იქნა დისკვალიფიცირებული. შესაბამისად, 2016 წლის 7 ოქტომბერს შპს „ბელუსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 103,0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებზე.

➤ სოფელ დაგვას საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოების მიზნით, რომლის სავარაუდო ღირებულება 400,7 ათასი ლარით განისაზღვრა, გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁵, მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. სატენდერო კომისიამ უმცირესი ფასის (320,6 ათასი ლარი) მქონე პრეტენდენტს, შპს „თელასს“ მოსთხოვა წინადადების დაზუსტება, მათ შორის, დადებითი რეკომენდაციის წარმოდგენა იმ შესყიდვის ფარგლებში განხორციელებულ მიწოდებაზე, რომელიც მითითებული ქონდა მის მიერ განხორციელებულ ბოლო მიწოდებად. შპს „თელასის“ მიერ დაზუსტებულ წინადადებაში გამოცდილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას დაემატა ბოლო შესრულება და დამკვეთის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედმა სატენდერო კომისიამ შპს „თელასის“ დაზუსტებული ინფორმაცია, სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებად განიხილა და მიუხედავად სატენდერო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და

⁴ NAT160001691

⁵ SPA160008654

გამარჯვებულად ცნო მომდევნო პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადება 35,2 ათასი ლარით აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზანს წარმოადგენს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენება და ჯანსაღი კონკურენციის განვითარება. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტთა შესწავლასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მონაწილის გამოცდილებას და შესაძლებლობებს უნდა ეყრდნობოდეს. წინამდებარე შესყიდვის გაანალიზებით ირკვევა, რომ შპს „თელასს“ ორჯერ უფრო მეტი (3 042 ათასი ლარი) გამოცდილება ჰქონდა, ვიდრე გამარჯვებულ ფირმას შპს „მთაწმინდა 2007-ს“ და მის მიერ დაზუსტების ეტაპზე დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ის აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ 35,2 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრები არარაციონალურად დაიხარჯა.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში⁶ გამარჯვებულად დასახელდა შპს „კაპიტელი“, რომელთანაც 2016 წლის 12 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება 870,0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებზე.

ხელშეკრულებაში 2016 წლის 13 ივლისს განხორციელებული ცვლილებით, შესასრულებელ სამუშაოებს დაემატა, 160 კუბ.მ მოცულობის რეზერვუარის მოსაწყობად საჭირო გზის შეკეთებისა და საყრდენი კედლის მოწყობის, 21,5 ათასი ლარის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამუშაოები. აღნიშნულ ღირებულებაში გათვალისწინებულია დღგ 3,3 ათასი ლარი, რომელიც სრულად ასახულია კრებსით ხარჯთაღრიცხვაში და მასზე კვლავ დარიცხულია დღგ. შესაბამისად, სამუშაოთა ღირებულება ხელოვნურად გაზრდილია 3,3 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 25 ივლისს განხორციელებული ცვლილებით, ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოზა გასწორებულია არა სახელშეკრულებო ღირებულების შემცირების, არამედ შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების ზრდის ხარჯზე.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განხორციელებული 7 ცვლილებით, შეიცვალა როგორც შესასრულებელი სამუშაოების სახეობები, ასევე მოცულობები. შედეგად, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვას დაემატა 173,3 ათასი ლარის ღირებულების, სრულიად ახალი სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულებისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, აღნიშნული ექვემდებარებოდა ახალი სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადებას.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯეო ბილდერს“ შორის 2016 წლის 8 სექტემბრს გაფორმდა ხელშეკრულება⁷, ქ. ქობულეთში, ჭავჭავაძის უბანში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის შესახებ. სახელშეკრულებო ღირებულება 70,0 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა არსებული მოედნის ხელოვნური საფარით მოწყობას. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა ყოფილიყო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი ხარისხის, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი სერტიფიკატით.

მხარეებს შორის 2016 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმებით, განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ხელოვნური საფარის ხარისხის გაზრდის მოტივით, ბეტონის მჭიმის

⁶ SPA150034296

⁷ ხელშეკრულება N191. 08.09.2016. NAT160001381

მოწყობის სამუშაოების შემცირების ხარჯზე, ხელოვნური საფარის ერთეულის სახელშეკრულებო ღირებულება 18,87 ლარიდან 33,36 ლარამდე გაიზარდა, რის შედეგადაც ხელოვნური საფარის მოწყობის სატენდერო ღირებულება გაიზარდა 11,5 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ხელოვნური საფარის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტი - ბუსუსების სიმაღლე არ შეცვლილა, ხოლო მაღალი ხარისხი, სატენდერო პირობით თავიდანვე იყო მოთხოვნილი. შესაბამისად, აღნიშნულ შესყიდვაში 11,5 ათასი ლარი საბიუჯეტო სახსრები არარაციონალურად გაიხარჯა.

➤ სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზით გამოვლინდა პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების განხილვისას არაერთგაროვანი და არაობიექტური მიდგომის ფაქტები, რაც ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას. კერძოდ:

) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს მითითებით, შპს „ამაგის“ მიერ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ზენითის საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო⁸ დოკუმენტაციის მხოლოდ მეოთხედ განხილვის შედეგად, სატენდერო კომისიამ აღმოაჩინა, რომ შპს „ამაგის“ მიერ წარდგენილი მასალის უმრავლესობაზე არ არის მითითებული ინფორმაცია მწარმოებელი ფირმისა და მოდელის შესახებ, რაც საბოლოოდ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდა. თუმცა მანამდე 3 შემთხვევაში, დავების განხილვის საბჭოს შესაბამისი მითითების მიუხედავად, შპს „ამაგის“ სატენდერო წინადადება, სატენდერო მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში განიხილებოდა.

) ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქუჩის ცენტრალურ სასაფლაომდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში⁹ მონაწილე პრეტენდენტის შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია, სატენდერო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისად ჩაითვა და პრეტენდენტს დაევალა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძველზე, დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიას დაევალა გადაესინჯა შპს „ჯორჯიან სტოუნის“ სატენდერო წინადადებასთან მიღებული გადაწყვეტილება.

აღნიშნულის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ, 2016 წლის 15 მარტს ხელახლა განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. ხელმოუწერელი და ბეჭედადუსმელი დოკუმენტაცია მექანიკურ შეცდომად მიიჩნია და ძალაში დატოვა შპს „ჯორჯიან სტოუნის“ სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება კვლავ გასაჩივრდა დავების განხილვის საბჭოში. საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, სატენდერო კომისიას დაევალა 2015 წლის 15 მარტის N19/06 სხდომის ოქმის გაუქმება და ტექნიკური დოკუმენტაციის ხელახლა განხილვა. მხოლოდ ამის შემდეგ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით მოხდა შპს „ჯორჯია სტოუნის“ დისკვალიფიკაცია და სატენდერო კომისიის 2016 წლის 7 აპრილის N19/8 სხდომის ოქმით, შესყიდვაში მონაწილე მომდევნო პრეტენდენტის სატენდერო წინადადების განხილვაზე გადაუსვლელად, მოხდა აღნიშნული ტენდერის შეწყვეტა.

⁸ SPA150028975, სავარაუდო ღირებულება 495,7 ათასი ლარი.

⁹ SPA150035857, სავარაუდო ღირებულება 866.0 ათასი ლარი.

➤ ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების მიერ ავტოსატრანსპორტის საცხებ-საპოხი საშუალებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁰, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 13,7 ათასი ლარი. შესყიდვაში გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი მონაწილე შპს „მირზა მოტორსი“. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა მისაწოდებელი საქონლის სერტიფიკატი, თუმცა შპს „მირზა მოტორსმა“ ელექტრონული სისტემის საშუალებით წარადგინა ინტერნეტში მოძიებულ კატალოგში აღწერილი რუსულენოვანი მონაცემები, რომელიც არ იყო ხელმოწერილი და არ წარმოადგენდა სერტიფიკატს. ამასთანავე, მისაწოდებელი საქონელი არ აკმაყოფილებდა სატენდერო წინადადებით მოთხოვნილ მახასიათებლებს¹¹. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, პრეტენდენტი არ იქნა დისკვალიფიცირებული.

2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები

2.2.1 გამგეობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გაწეული ხარჯების შესწავლისას დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „ჰიუნდა ix35-ის“ სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯულია 2,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მანქანა იყო დაზღვეული, თუმცა პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სადაზღვევო კომპანიაზე შეტყობინება დაგვიანებით გაკეთდა, რის გამოც უარი ეთქვათ ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების არასათანადო ექსპლუატაციისა და სადაზღვევო პირობების დარღვევის შედეგად, ზედმეტად იქნა გადახდილი საბიუჯეტო სახსრები 2,0 ათასი ლარის ოდენობით.

2.2.2 ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების მიერ გაწეული ხარჯები

ქობულეთის სანდასუფთავების ავტოპარკი 2016 წელს შეადგენდა 16 ავტოსატრანსპორტო და სპეც. ტექნიკას, აქედან 11 გადმოცემული იქნა შპს „სანდასუფთავებასთან“ 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმად ქობულეთის სანდასუფთავებას დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცა ქონება, მათ შორის, 290,5 ათასი ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ნაგავშიდი, სპეცტექნიკა, ტრაქტორი, პიკაპი და სხვ.). ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმღები მხარე ვალდებულია გაწიოს ყველა აუცილებელი ხარჯი მიღებული ქონების საბაზრო ღირებულების შენარჩუნებისათვის და ასევე უზრუნველყოს მისი პირდაპირი დანიშნულებისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში შენარჩუნება, ხოლო დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე მესაკუთრეს და სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეც.ტექნიკის მდგომარეობის შესწავლისას, ვიზუალური დათვალიერებით და პასუხისმგებელი პირების განმარტებებით დადგინდა, რომ ქონების ნაწილი დაზიანდა 2016 წელს და მათი აღდგენა (შესაძლებლობის შემთხვევაში) საჭიროებს დიდ თანხებს.

¹⁰SPA160010685

¹¹დიზელის ძრავის ზეთისათვის განსაზღვრული იყო სიმკვრივე 0,885-0,888, ხოლო სიბლანტის ინდექსი 138-139, წარმოდგენილი დოკუმენტაციაში მითითებული იყო სიმკვრივე 0,882 , ხოლო სიბლანტე 130.

სურათი N1. მანქანების ვიზუალური ილუსტრაცია



ქობულეთის სანდასუფთავების მიერ 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით შეძენილი იქნა ჯამში 46.2 ათასი ლარის სათადარიგო ნაწილები და საპოხი საშუალებები, რომელთა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შეძენილი მასალების შეცვლას (მომსახურებას), არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ახორციელებს ქობულეთის სანდასუფთავების ზეინკალი და აღნიშნულთან დაკავშირებით არ ხდებოდა დოკუმენტაციის წარმოება, ხოლო დაზიანებული ნაწილების შეცვლის საჭიროებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია დეფექტური აქტები. აქედან გამომდინარე, შეძენილი სათადარიგო ნაწილებისა და საპოხი საშუალებების ხარჯვის მიზნობრიობა ვერ იქნა დადასტურებული, ხოლო დეფექტური აქტების სისწორე მოკლებულია რეალობას, მასში არსებული უზუსტობების გამო. მაგალითად, მითითებულია, რომ ტრაქტორი დტ 75-ს ესაჭიროებოდა 1 ცალი 100-ამპერიანი დენის წყარო, თუმცა, როგორც ირკვევა ტრაქტორს დენის წყარო ქარხნულად არ გააჩნია.

ქობულეთის სანდასუფთავების საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2016 წელს შეძენილია სულ 135,1 ათასი ლარის 101 577 ლიტრი საწვავი. მათ შორის 12,9 ათას ლარად შეძენილია 9 222 ლიტრი ბენზინი და 122,1 ათას ლარად - 92 355 ლიტრი დიზელის საწვავი. საანგარიშო პერიოდში საწვავის ჩამოწერა ხდებოდა „სატრანსპორტო ფურცლების“ მონაცემების შესაბამისად, სადაც ფიქსირდებოდა ცალკეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაცემული საწვავი, საპასპორტო მონაცემები და მათ მიერ განვლილი მანძილი (ოდომეტრის მონაცემების შესაბამისად). ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა საწვავის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები. კერძოდ, ბენზინგასამართი სადგურიდან¹² მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების დირექტორზე განპიროვნებულ ავტომანქანაზე გაცემულია 6053 ლიტრი ბენზინი¹³, ხოლო „ნავაგმზიდიზე“- 10845 ლიტრი დიზელის

¹² შპს „რომპეტროლ - საქართველო“

¹³ საწვავის ლიმიტი 2016 წლის 3 იანვრიდან - 500 ლიტრი, 1 მარტიდან - 800 ლიტრი, 1 ივნისიდან - 1000 ლიტრი.

საწვავი, რაც შესაბამისად, 3073 და 380 ლიტრით მეტია საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით ამავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაცემულ საწვავზე.

ცხრილი N6. სხვაობა ბენზინგასამართ სადგურში საწვავის ჩასხმის მონაცემებსა და საბუღალტრო მონაცემებს შორის

N	ავტომობილის მარკა და სახ. ნომერი	დანიშნულება	წლიური შევსება (ბენზინგასამართი სადგურის მონაცემები. ლიტრი)	წლიური შევსება (საბუღალტრო მონაცემები. ლიტრი)	სხვაობა (ლიტრი)
1	ISUZU NPR8. OEO 481	ნაგავმზიდი	5020	5685	-665
2	ISUZU NPR8. OEO483	ნაგავმზიდი	10845	10465	380
3	FORD TRANZIT. YEA295	პერსონალის გადასაყვანი	4598	4999	-401
4	TOYOTA WISH. BQ398BQ	დირექტორზე განპიროვნებული	6053	2980	3073
5	SUZUKI. XK644KX	ნაგავმზიდი	879	1339	-460
6	SUZUKI. XK643KX	ნაგავმზიდი	890	1350	-460
7	SUZUKI. XK642KX	ნაგავმზიდი	940	1400	-460

აუდიტის პერიოდში მიწოდებული საწვავის საშუალო ღირებულების გათვალისწინებით, არამიზნობრივად გახარჯულია 4,8 ათასი ლარის ღირებულების საწვავი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებში სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, საწვავის ზედმეტად გაწერით არის დაბალანსებული.

2.3 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, საკრებულოს თითოეული წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომების, კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა თვეში 397 ლარის ოდენობით. 2016 წელს გაცემულია სულ 99,6 ათასი ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თანხის გაცემის საფუძველი უნდა ყოფილიყო ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. ამდენად, მუნიციპალიტეტმა 2016 წელს 99,6 ათასი ლარის ხარჯი გასწია საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

3. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიზოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოეთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, მუნიციპალიტეტი შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.
- ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა

ირაკლი ანანიძე

წამყვანი აუდიტორი

გოჩა შარაბიძე

წამყვანი აუდიტორი

გურამ დუმბაძე

წამყვანი აუდიტორი

ჰენრი სანიკიძე

წამყვანი აუდიტორი

ზვიადი ვარშალომიძე

აუდიტორი

მინდია ჯორთმენაძე

აუდიტორი

დასკვნის თარიღი 26.12.2017წ.

5. დანართები - ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

კოდი	აქტივები	ანგარიში ს ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისის თვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
140	მოკლევადიანი სესხები	1320		
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერიით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	34322	1500
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	1301716	792910

310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
360	გრძელვადიანი სესხები	1510		
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
